ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:**ბ48. 4826036001**

თარიღი:**05/02/2026**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტში გარეულ ცხოველთა (მგლის და ტურის) რაოდენობის რეგულირების ღონისძიების განხორციელების მიზნით ჯგუფის შექმნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის ,,ა" პუნქტის, „გარეულ ცხოველთა რაოდენობის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 სექტემბრის N574 დადგენილების, ,,2025-2026 წწ. გარეულ ცხოველთა იმ სახეობების ჩამონათვალის დადგენის შესახებ, რომელთა რაოდენობის რეგულირების ღონისძიება მუნიციპალიტეტებმა შესაძლებელია განახორციელონ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან წინასწარი შეთანხმების გარეშე'' საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2025 წლის 13 ოქტომბრის N 2- 642 ბრძანების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1.შეიქმნას წყალტუბოს მუნიციპალიტეტში გარეულ ცხოველთა (მგლის და ტურის) რაოდენობის რეგულირების ღონისძიების განხორციელების მიზნით ჯგუფი დანართში მითითებული პირების შემადგენლობით.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტში გარეულ ცხოველთა (მგლის და ტურის) რაოდენობის რეგულირების ღონისძიების განხორციელების მიზნით ჯგუფის შექმნის შესახებ'' წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 18 ნოემბრის N ბ.48.4824323001 ბრძანება''.

3. ჯგუფი უფლებამოსილია იმოქმედოს „გარეულ ცხოველთა რაოდენობის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 სექტემბრის N574 დადგენილებისა და ,,2025-2026 წწ. გარეულ ცხოველთა იმ სახეობების ჩამონათვალის დადგენის შესახებ, რომელთა რაოდენობის რეგულირების ღონისძიება მუნიციპალიტეტებმა შესაძლებელია განახორციელონ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან წინასწარი შეთანხმების გარეშე'' საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2025 წლის 13 ოქტომბრის N 2- 642 ბრძანების შესაბამისად.

4. ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

5.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ.ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11)

გეხადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY №2 • 221274546

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი